



ევროპის ადვოკატთა სახელით

---

---

ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი

---

---

ევროგაერთიანების ადვოკატთა წინამდებარე ქცევის კოდექსი მიღებულ იქნა ევროპის ადვოკატურებისა და იურიდიული საზოგადოებების საბჭოს (CCBE) მიერ 1988 წლის 28 ოქტომბრის პლენარულ სხდომაზე რის შემდეგ მასში შეტანილია ცვლილებები ევროპის ადვოკატურებისა და იურიდიული საზოგადოებების საბჭოს 1998 წლის 28 ნოემბრის და 2002 წლის 6 დეკემბრის პლენარულ სხდომებზე.

რედაქტორი: CCBE

რიუ დე ტრევ №45-B-1040 ბრიუსელი

ტელ: +32 (0) 2 234 65 10 – ფაქსი: +32 (0) 2 234 65 11

ელ.ფოსტა: [ccbe@ccbe.org](mailto:ccbe@ccbe.org) – <http://www.ccbe.org>

## სარჩევნო

1.	პრემამბულა
1.1.	ადვოკატის ფუნქცია საზოგადოებაში
1.2.	პროფესიული ქცევის წესების ბუნება
1.3.	კოდექსის მიზანი
1.4.	პერსონალური განსჯადობის გამოყენების სფერო
1.5.	საგნობრივი განსჯადობის გამოყენების სფერო
1.6.	დეფინიციები
2.	ზოგადი პრინციპები
2.1.	დამოუკიდებლობა
2.2.	ნდობა და პირადი შეუვალობა
2.3.	კონფიდენციალურობა
2.4.	სხვა ადვოკატურების და იურიდიული საზოგადოებების წესების მიმართ პატივისცემა
2.5.	შეუთავსებელი საქმიანობა
2.6.	პირადი საჯაროობა
2.7.	კლიენტის ინტერესები
2.8.	კლიენტის წინაშე ადვოკატის პასუხისმგებლობის შეზღუდვა
3.	კლიენტთან ურთიერთობა
3.1.	მითითებების მიღება და გაუქმება
3.2.	ინტერესთა კონფლიქტი
3.3.	Pactum de Quota Litis
3.4.	ჰონორარის რეგულირება
3.5.	ანგარიშსწორება

- 3.6. პონორარის განაწილება არა ადვოკატებთან
- 3.7. დაგების მინიმალური დანახარჯებით გადაწყვეტა და იურიდიული დახმარება
- 3.8. კლიენტების ფონდები
- 3.9. პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა

---

4. სასამართლოებთან ურთიერთობა

---

- 4.1. სასამართლოში ქცევის მოქმედი წესები
- 4.2. სამართლიანი ქცევა პროცესებზე
- 4.3. ქცევა სასამართლოში
- 4.4. არასწორი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია
- 4.5. არბიტრაჟი

---

5. ადვოკატთა შორის ურთიერთობა

---

- 5.1. პროფესიის კორპორატიული არსი
- 5.2. სხვადასხვა წევრ სახელმწიფოთა ადვოკატებს შორის თანამშრომლობა
- 5.3. ადვოკატებს შორის კორესპონდენცია
- 5.4. რეკომენდაციის გადასახადი
- 5.5. მოწინააღმდეგე მხარეებთან ურთიერთობა
- 5.6. (ამოღებულია CCBE-ს პლენარული სხდომის გადაწყვეტილებით 2002 წლის 6 დეკემბერს დუბლინში)
- 5.7. პასუხისმგებლობა გადასახადებზე
- 5.8. ახალგაზრდა ადვოკატების ტრენინგი
- 5.9. სხვადასხვა წევრ სახელმწიფოთა ადვოკატებს შორის დაგები

---

## 1. პრეამბულა

---

### 1.1. ადვოკატის ფუნქცია საზოგადოებაში

კანონის უზენაესობის მიმართ პატივისცემაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში, ადვოკატს განსაკუთრებული როლი აკისრია. მისი მოვალეობები არ შემოიფარგლება იმით, რომ კანონით დაშვებულის ფარგლებში პატიოსნად შეასრულოს მასზე დაკისრებული ფუნქციები იქამდე. ადვოკატი უნდა ემსახურებოდეს სამართლიანობის ინტერესებს და მათ, ვისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და განმტკიცება აქვს დაკისრებული. გარდა ამისა ადვოკატის მოვალეობაა არა მხოლოდ კლიენტის პოზიციის დაცვა, არამედ იგი ვალდებულია იყოს კლიენტის მრჩეველიც.

აქედან გამომდინარე, ადვოკატის ფუნქცია მას მთელ რიგ იურიდიულ თუ მორალურ ვალდებულებებს აკისრებს (ხშირად ეს უკანასკნელნი თითქოს ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან). ესენია ვალდებულებები:

- კლიენტის წინაშე,
- სასამართლოების და სხვა ორგანოების მიმართ, რომელთა წინაშეც ადვოკატი მისი კლიენტის პოზიციას იცავს ან წარმოადგენს მას,
- ზოგადად იურიდიული პროფესიის და კეძოდ თითოეული მისი წევრის წინაშე, და
- საზოგადოების წინაშე, რომლისვისაც თავისუფალი და დამოუკიდებელი პროფესიის არსებობა თვით პროფესიის მიერ შექმნილი წესების მიმართ პატივისცემასთან ერთად, სახელმწიფოს ძალაუფლებისაგან და საზოგადოების სხვა ინტერესებისაგან ადამიანის უფლებების დაცვის ძირითად საშუალებას წარმოადგენს.

### 1.2. პროფესიული ქცევის წესების ბუნება

12.1. პროფესიული ქცევის წესები ეფუძნება მათ ნებაყოფლობით მიღებას იმ პირების მიერ, რომლებზეც ისინი ვრცელდება იმის უზრუნველსაყოფად, რომ ადვოკატმა პირნათლად შეასრულოს ყველა სამოქალაქო საზოგადოების მიერ უმნიშვნელოვანესად აღიარებული ფუნქცია. ადვოკატის მიერ აღნიშნული წესებისადმი დაუმორჩილებლობას საბოლოო შედეგად უნდა მოყვებოდეს დისციპლნური სანქცია.

12.2. თითოეული ადვოკატის ან იურიდიული საზოგადოების ცალკეული წესები წარმოიქმნება მისი ტრადიციებიდან. ისინი შესაბამის წევრ სახელმწიფოში აღაპირებულია ორგანიზაციაზე, პროფესიის საქმიანობის სფეროზე და მის სასამართლო თუ ადმინისტრაციულ პროცედურებზე

ადგილობრივ კანონმდებლობასთან ერთად. წესების კონტექსტიდან ამოღება არამართო სასურველი არ არის, არამედ შეუძლებელიც. არც იმ წესების ზოგადი გამოყენებაა სასურველი, რომელთა ამგვარი გამოყენება ისედაც შეუძლებელია.

მიუხედავად ამისა, თითოეული ადვოკატურის ან იურიდიული საზოგადოების ცალკეული წესები ემყარება ერთი და იგივე ფასეულობებს და უმეტეს შემთხვევებში საერთო საფუძველს წარმოადგენს.

### 13. წინამდებარე კოდექსის მიზანი

13.1. ევროგაერთიანებისა და ევროპის ეკონომიკური სივრცის მიმდინარე ინტეგრაციამ და ევროპის ეკონომიკური სივრცის ფარგლებში ადვოკატების საზღვართშორის საქმიანობის სისშირის ზრდამ საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებელი გახდა ერთიანი წესების ჩამოყალიბება, როლებიც გავრცელდება ევროპის ეკონომიკური სივრცის ყველა ადვოკატზე მათ საზღვართშორის პრაქტიკაში მიუხედავად იმისა, თუ რომელ ადვოკატურას ან იურიდიულ საზოგადოებას მიეკუთვნებიან. აღნიშნული წესების ჩამოყალიბების პირდაპირი მიზანია იმ სიძნელეების მოგვარება, რომლებიც წარმოიქმნება “ორმაგი დეონტოლოგიის” გამოყენებისას, 1977 წლის 22 მარტის დირექტივის E.C. 77/249-ს 4-ე მუხლის შესაბამისად.

13.2. ორგანიზაციები, რომლებიც CCBE-ის მეშვეობით იურიდიულ პროფესიას წარმოადგენენ ადგენენ, რომ ქვემოთ ჩამოთვლილ მუხლებში კოდიფიცირებული წესები:

- აღიარებულ იქნას ევროგაერთიანებისა და ევროპის ეკონომიკური სივრცის ადვოკატურებს და იურიდიული საზოგადოებებს შორის კონსენსუსის გამოხატვად;
- დაუყოვნებლივ მიღებულ იქნას, როგორც აღსრულებადი წესები ევროგაერთიანებისა და ევროპის ეკონომიკური სივრცის ფარგლებში ადვოკატის საზღვართშორის საქმიანობასთან დაკავშირებული ეროვნული და ევროპის ეკონომიკური სივრცის პროცედურების შესაბამისად;
- გათვალისწინებულ იქნას დეონტოლოგიის ან პროფესიული პრაქტიკის ეროვნული წესების ყოველგვარი რევიზიისას მათი პროგრესული პარმონიზაციის მიზნით.

გარდა ამისა, ზემოაღნიშნული ორგანიზაციები გამოხატავენ სურვილს, რომ საჭიროებისამებრ დეონტოლოგიის ან პროფესიული პრაქტიკის ეროვნული წესების ინტერპრეტაცია და გამოყენება განხორციელდეს წინამდებარე კოდექსით დადგენილი წესების შესაბამისად.

წინამდებარე კოდექსით დადგენილი წესების, როგორც ადვოკატის საზღვართაშორის საქმიანობასთან დაკავშირებული აღსრულებადი წესები მიღების შემდეგ, იგი კვლავ დაექვემდებარება იმ ადვოკატურისა თუ იურიდიული საზოგადოების წესებს, რომელსაც ის მიეკუთვნება მანამ, სანამ ეს წესები წინამდებარე კოდექსის წესებს შეესაბამება.

#### **14. პერსონალური განსჯადობის გამოყენების სფერო**

წინამდებარე წესები ვრცელდება ევროგაერთიანებისა და ევროპის ეკონომიკური სივრცის ადვოკატებზე 1977 წლის 22 მარტის №77/249 დირექტივით დადგენილის შესაბამისად.

#### **15. საგნობრივი განსჯადობის გამოყენების სფერო**

დენტოლოგიის ან პროფესიული პრაქტიკის იმ წესების პროგრესული ჰარმონიზაციის მიუკერძოებლად, რომლებიც მოქმედებს მხოლოდ წევრი სახელმწიფოს ფარგლებში, წინამდებარე წესები ვრცელდება ადვოკატზე, მისი საზღვართაშორის საქმიანობისას ევროგაერთიანებისა და ევროპის ეკონომიკური სივრცის ფარგლებში. საზღვართაშორის საქმიანობა ნიშნავს:

- (ა) საკუთარს გარდა, სხვა წევრი სახელმწიფოების ადვოკატებთან პროფესიულ კონტაქტებს და
- (ბ) ადვოკატის საქმიანობას საკუთარს გარდა, რომელიმე წევრს სახელმწიფოში, მიუხედავად იმისა, ფიზიკურად იმყოფება თუ არა ადვოკატი აღნიშნულ წევრ სახელმწიფოში.

#### **16. დეფინიციები**

წინამდებარე წესებისათვის:

“მშობლიური წვერი სახელმწიფო” ნიშნავს იმ ადვოკატურისა თუ იურიდიული საზოგადოების წვერ სახელმწიფოს, რომელსაც ადვოკატი მიეკუთვნება.

“მასპინძელი წვერი სახელმწიფო” ნიშნავს ნებისმიერ სხვა წვერ სახელმწიფოს, რომელშიც ადვოკატი ახორციელებს საზღვართშორის საქმიანობას.

“კომპეტენტური ორგანო” ნიშნავს შესაბამისი წვერი სახელმწიფოს პროფესიულ ორგანიზაციას (ორგანიზაციებს) ან ორგანოს (ორგანოებს), რომელიც პასუხისმგებელია პროფესიული ქცევის წესების დადგენასა და ადვოკატების დისციპლინის ადმინისტრირებაზე.

---

## **2. ზოგადი პრინციპები**

---

### **2.1. დამოუკიდებლობა**

2.1.1. რიგი მოვალეობები, რომლებიც ადვოკატს აკისრია მოითხოვს მის სრულ დამოუკიდებლობას, თავისუფლებას ყოველგვარი გარეშე გავლენისაგან, განსაკუთრებით ისეთი გავლენისაგან, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მისი პირადი ინტერესებიდან ან გარეშე ზეწოლისაგან. ასეთი დამოუკიდებლობა აუცილებელია მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ნდობისათვის, ისევე როგორც მოსამართლის მიუკერძოებლობისათვის. აქედან გამომდინარე, ადვოკატმა თავიდან უნდა აიცილოს მისი თავისუფლების ნებისმიერი სახით მიკერძოება და გაუფრთხილდეს მისი პროფესიული სტანდარტების კომპრომეტირებას, რადგან ასიაშინდელი კლიენტი, სასამართლო ან მესამე მხარე.

2.1.2. ასეთი დამოუკიდებლობა აუცილებელია არა სადავო საქმეებში, ისევე როგორც სასამართლო დავებში. ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მიცემულ რჩევას ფასი არა აქვს, თუ მისი მიზანია ადვოკატის დაფასება, მის პირად ინტერესებს ემსახურება ან გარეშე ზეწოლის შედეგად განხორციელდება.

### **2.2. ნდობა და პირადი შეუვალობა**

ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების არსებობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატის პირადი ღირსება, პატიოსნება და შეუვალობა ეჭვგარეშეა. ადვოკატისათვის აღნიშნული ტრადიციული თვისებები პროფესიული ვალდებულებაა.

## 2.3. კონფიდენციალურობა

2.3.1 ადვოკატის ძირეული ფუნქციაა კლიენტისაგან მიიღოს ინფორმაცია, რომელსაც ეს უკანასკნელი სხვა პირს არ გაანდობდა და იყოს ნდობის საფუძველზე ამ ინფორმაციის მიმღები. კონფიდენციალურობის უეჭველობის გარეშე, შეუძლებელია ნდობის არსებობა. ამდენად, კონფიდენციალურობა ადვოკატის უპირველესი ფუნდამენტური უფლება და მოვალეობაა.

ადვოკატის კონფიდენციალურობის ვალდებულება ემსახურება როგორც მართლმსაჯულების განხორციელების, ისე – კლიენტის ინტერესებს. ამიტომ, მას ეკუთვნის განსაკუთრებული დაცვა სახელმწიფოს მხრიდან.

2.3.2 ადვოკატმა პატივი უნდა სცეს იმ ინფორმაციის კონფიდენციალურობას, რომელიც მისთვის მისი პროფესიონალური საქმიანობის განხორციელებისას გახდება ცნობილი.

2.3.3 კონფიდენციალურობის ვალდებულება დროში შეზღუდული არ არის.

2.3.4 ადვოკატმა მის პარტნიორებს, თანამშრომლებს და სხვა პირებს, რომლებიც მის მიერ დაქირავებული არიან პროფესიონალური მომსახურების გაწევის პროცესში უნდა მოსთხოვოს კონფიდენციალურობის იგივე ვალდებულების შესრულება.

## 2.4. სხვა ადვოკატურების და იურიდიული საზოგადოებების წესების მიმართ პატივისცემა

ევროგაერთიანების და ევროპის ეკონომიკური სივრცის კანონებთან შესაბამისად, სხვა წევრი სახელმწიფოს ადვოკატს შეიძლება დაეკისროს ვალდებულება დაიცვას მასპინძელი წევრი სახელმწიფოს ადვოკატურის ან იურიდიული საზოგადოების წესები. ადვოკატები ვალდებული არიან გაეცნონ წესებს, რომლებიც მათზე ვრცელდება გარკვეული საქმიანობის განხორციელებისას.

CCBE-ის წევრი ორგანიზაციები ვალდებული არიან წარადგინონ მათი ქვეყნის კოდექსები CCBE-ის სამდივნოში, რათა ყველა ადვოკატს მოქმედი კოდექსის სამდივნოდან ასლის მიღების საშუალება მიეცეს.



## 2.5. შეუთავსებელი საქმიანობა

- 2.5.1. იმისათვის რომ ადვოკატმა მისი ფუნქციები აუცილებელი დამოუკიდებლობის დაცვით და ისეთი ფორმით შეასრულოს, რომელიც მის მართლმსაჯულების განხორციელებაში მონაწილეობის ვალდებულებას შეესაბამება, მას ეკრძალება გარკვეული სახის საქმიანობა.
- 2.5.2. ადვოკატმა, რომელიც მასპინძელ წევრ სახელმწიფოში კლიენტს წარმოადგენს ან იცავს სასამართლო პროცესში ან საჯარო დაწესებულების წინაშე, უნდა დაიცვას წესები შეუთავსებელი საქმიანობის შესახებ ისევე, როგორც ისინი მასპინძელ წევრ სახელმწიფოში გამოიყენება ადგილობრივი ადვოკატების მიმართ.
- 2.5.3. იმ მასპინძელ წევრ სახელმწიფოში დაფუძნებულმა ადვოკატმა, რომელშიც მას სურს პირდაპირი მონაწილეობა მიიღოს ისეთ კომერციულ ან სხვა სახის საქმიანობაში, რომელიც იურიდიულ პრაქტიკასთან დაკავშირებული არ არის, პატივი უნდა სცეს აკრძალული ან შეუთავსებელი საქმიანობის შესახებ წესებს ისევე, როგორც ისინი ამ წევრ სახელმწიფოში გამოიყენება ადგილობრივი ადვოკატების მიმართ.

## 2.6. პირადი საჯაროობა

- 2.6.1. ადვოკატი უფლებამოსილია საზოგადოებას შეატყობინოს მისი საქმიანობის შესახებ იმ პირობით, რომ ინფორმაცია სწორია და არ არის შეცდომაში შემყვანი, კონფიდენციალურობის ვალდებულებისა და სხვა ძირეული ფასეულობების გათვალისწინებით.
- 2.6.2. ადვოკატის მიერ პირადი საჯაროობა მას მედიის ნებისმიერი საშუალებით, როგორცაა პრესა, რადიო, ტელევიზია, ელექტრონული კომერციული კომუნიკაციები თუ სხვა დაშვებულია მანამ, სანამ დაცულია 2.6.1. მუხლის მოთხოვნები.

## 2.7. კლიენტის ინტერესები

პროფესიული ქცევის წესებისა და კანონების პირნათლად დაცვით, ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და

კლიენტის ინტერესები პირადი ან იურიდიული პროფესიის წევრების ინტერესების წინ დააყენოს.

## 2.8. კლიენტის წინაშე ადვოკატის პასუხისმგებლობის შეზღუდვა

მშობლიური წევრი სახელმწიფოსა და მასპინძელი წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით დაშვებულის ფარგლებში, ადვოკატი უფლებამოსილია შეზღუდოს მისი პასუხისმგებლობა კლიენტის წინაშე იმ ქცევის კოდექსის წესების შესაბამისად, რომელსაც ის ექვემდებარება.

---

## 3. კლიენტთან ურთიერთობა

---

### 3.1. მითითებების მიღება და გაუქმება

3.1.1. ადვოკატმა არ უნდა აწარმოოს საქმე მხარის სახელით ამ უკანასკნელის მითითების გარეშე. თუმცა, ადვოკატი უფლებამოსილია აწარმოოს საქმე, რომელზეც მან მითითებები მიიღო სხვა ადვოკატისაგან, რომელიც უშუალოდ წარმოადგენს მხარეს ან დანიშნულია საქმეზე კომპეტენტური ორგანოს მიერ.

ადვოკატმა ყოველგვარი ღონე უნდა იხმაროს, რათა დარწმუნდეს იმ პირის ან ორგანოს ვინაობაში, კომპეტენციასა და ძალაუფლებაში, რომლისგანაც მიიღებს მითითებებს იმ შემთხვევაში, თუ გარკვეული გარემოებები მიუთითებენ, რომ ვინაობა, კომპეტენცია და ძალაუფლება საეჭვოა.

3.1.2. ადვოკატმა კლიენტის კონსულტაცია და წარმომადგენლობა დაუყოვნებლივ, კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ უნდა განახორციელოს. მან პირადი პასუხისმგებლობა უნდა აიღოს მიღებული მითითებების შესრულებაზე. ადვოკატმა კლიენტს რეგულარულად უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობის შესახებ.

3.1.3. ადვოკატმა არ უნდა აწარმოოს საქმე, რომელშიც მან იცის ან უნდა იცოდეს, რომ არაკომპეტენტურია ისეთ ადვოკატთან თანამშრომლობის გარეშე, რომელიც აღნიშნულ საქმეში კომპეტენტურია.

ადვოკატმა არ უნდა მიიღოს მითითებები, თუ მას არ შეუძლია მათი დაუყოვნებლივ შესრულება სხვა საუშაოს გამო ზეწოლიდან გამომდინარე.

3.1.4. ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლებით ისეთი ფორმით ან ისეთ გარემოებებში, რომლებშიც კლიენტი უძლური იქნება დროულად იპოვოს სხვა იურიდიული დახმარების საშუალება, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით.

### **32. ინტერესთა კონფლიქტი**

3.2.1. ადვოკატს არა აქვს უფლება კონსულტაცია გაუწიოს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე საქმეზე აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის კონფლიქტის არსებობის ან კონფლიქტის წარმოქმნის მნიშვნელოვანი რისკის არსებობის შემთხვევაში.

3.2.2. ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს საქმიანობა ორივე კლიენტის სახელით მათ შორის ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის შემთხვევაში, ნდობის დარღვევის ან მისი დამოუკიდებლობის ხელყოფის რისკის არსებობისას.

3.2.3. ამასთან, ადვოკატმა თავი უნდა შეიკავოს ახალი კლიენტის სახელით საქმიანობაზე, თუ არსებობს ყოფილი კლიენტის ადვოკატისადმი ნდობის დარღვევის რისკი ან თუ ყოფილი კლიენტის საქმეების შესახებ ინფორმაცია, რომელსაც ადვოკატი ფლობს, ახალი კლიენტისათვის არამართებულ უპირატესობას შეიძლება წარმოადგენდეს.

3.2.4. თუ ადვოკატების პრაქტიკის განხორციელება ხდება ასოციაციაში, მუხლები 32.1-3.2.3. ვრცელდება ასოციაციაზე და მის ყველა წევრზე.

### **33. Pactum de Quota Litis**

3.3.1. ადვოკატს არა აქვს უფლება აწარმოოს Pactum Quota Litis.

3.3.2. Pactum de Quota Litis ნიშნავს შეთანხმებას ადვოკატსა და კლიენტს შორის, რომელიც დადებულია იმ საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე, რომელშიც

კლიენტი ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს და რომლის საფუძველზე კლიენტი იღებს ვალდებულებას ადვოკატს გადასცეს წილი საქმის შედეგიდან მიუხედავად იმისა, თუ წილი თანხას ან სხვა სარგებელს წარმოადგენს, რომელსაც კლიენტი საქმის გადაწყვეტისას მიიღებს.

3.3.3. Pactum de Quota Litis არ მოიცავს შეთანხმებას, რომლის თანახმად ჰონორარი გამოინგარიშება ადვოკატის მიერ აღებული საქმის ღირებულების საფუძველზე ოფიციალურად დამტკიცებული ჰონორარების სისტემის შესაბამისად ან ადვოკატზე იურისდიქციის მქონე კომპეტენტური ორგანოს კონტროლის ქვეშ.

### **3.4. ჰონორარის რეგულირება**

3.4.1. ადვოკატის მიერ მოთხოვნილი ჰონორარი სრულად უნდა გაუმჟღავნდეს კლიენტს და უნდა იყოს სამართლიანი და ზომიერი.

3.4.2. ადვოკატსა და კლიენტს შორის სხვაგვარი შეთანხმების არსებობის გარდა, ადვოკატის მიერ მოთხოვნილი ჰონორარი ექვემდებარება რეგულირებას იმ ადვოკატურისა თუ იურიდიული საზოგადოების წესების შესაბამისად, რომელსაც ადვოკატი მიერკუთვნება.

### **3.5. ანგარიშსწორება**

თუ ადვოკატი მისი ჰონორარის ანგარიშზე და/ან ხელზე გადახდას მოითხოვს, ამგვარმა გადახდამ არ უნდა გადააჭარბოს ჰონორარის ზომიერ ოდენობას და შესაბამის სავარაუდო გადახდას.

გადაუხდელობის შემთხვევაში, ადვოკატი უფლებამოსილია უარი თქვას საქმეზე ან მის წარმოებაზე, მაგრამ ყოველთვის 3.14-ე მუხლზე დაქვემდებარებით.

### **3.6. ჰონორარის განაწილება არა ადვოკატებთან**

3.6.1. ქვემოთ ჩამოთვლილის შესაბამისად, ადვოკატს არა აქვს უფლება ჰონორარი გაუნაწილოს პირს, რომელიც არ არის ადვოკატი გარდა იმ შემთხვევისა, თუ იმ წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით, რომელსაც ადვოკატი მიეკუთვნება, დაშვებულია ასოციაცია ადვოკატსა და ასეთ პირს შორის.

3.6.2. 3.6.1. მუხლის დებულებები ხელს არ უშლის ადვოკატს გრძელვადიანი ადვოკატის მემკვიდრეებისათვის ან პენსიონერი ადვოკატისათვის ჰონორარის, საკომისიოს ან სხვა სახის კომპენსაციის გადახდაში პენსიაზე გასული ან გარდაცვლილი ადვოკატის პრაქტიკის მიღებასთან მიმართებით.

### 3.7. დავების მინიმალური დანახარჯებით გადაწყვეტა და იურიდიული დახმარება

3.7.1. ადვოკატი ყოველთვის უნდა იღწოდეს მიაღწიოს კლიენტის დავის მინიმალური დანახარჯებით გადაწყვეტას და შესაბამის ეტაპებზე კლიენტს უნდა ურჩიოს მორიგების და/ან დავის გადაწყვეტის ალტერნატიული გზების ძიების სასურველობა.

3.7.2. ადვოკატმა აუცილებლობისას კლიენტს უნდა აცნობოს იურიდიული დახმარების არსებობა.

### 3.8. კლიენტების ფონდები

3.8.1. თუ ადვოკატი მისი პრაქტიკის განმავლობაში ნებისმიერ დროს მისი კლიენტის ან მესამე მხარის სახელით თანხებს მფლობელობაში მიიღებს, (შემდგომში “კლიენტის ფონდები”), სავალდებულოა, რომ:

3.8.1.1. აღნიშნული თანხები ყოველთვის საბანკო ანგარიშზე ან მსგავს დაწესებულებაში ინახებოდეს საჯარო დაწესებულების ზედამხედველობის ქვეშ. ადვოკატის მიერ მიღებული ყველა ასეთი თანხა ამგვარ ანგარიშზე უნდა იქნას გადახდილი გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტი დათანხმდება, რომ თანხების განკარგვა სხვაგვარად მოხდეს.

3.8.1.2. ნებისმიერი ანგარიში, რომელზეც ადვოკატის სახელით კლიენტის თანხები ინახება, სათაურში ან დანიშნულებაში მიუთითებდეს, რომ თანხები ინახება კლიენტის ან ადვოკატის კლიენტების სახელით

3.8.1.3. ნებისმიერი ანგარიში ან ანგარიშები, რომლებზეც კლიენტის თანხები ადვოკატის სახელით ინახება ყოველთვის უნდა მოიცავდეს თანხას, რომელიც არ არის ნაკლები ადვოკატის მიერ შენახული კლიენტის თანხების სრული ოდენობისა.

3.8.14. ყველა თანხა უნდა გადაეხადოს კლიენტს დაუყოვნებლივ მოთხოვნისთანავე ან კლიენტის მიერ დადგენილი პირობების დადგომისას.

3.8.15. აიკრძალოს კლიენტის თანხებით, მისი სახელით ნებისმიერი სხვა პირისათვის გადახდილი ყველა გადასახადი, შემდეგის ჩათვლით:

- ა) ერთი კლიენტისათვის ან მისი სახელით მეორე კლიენტისათვის შენახული თანხებიდან გადასახადების გადახდა და
- ბ) ადვოკატის ჰონორარის გადახდა

ასეთი გადახდები დაშვებულია, თუ ისინი ნებადართულია კანონით ან სასამართლო გადაწყვეტილებით და ნებადართულია იმ კლიენტის მიერ, რომლის თანხებიდანაც ხდება მისი გადახდა.

3.8.16. ადვოკატმა უნდა აწარმოოს სრული და ზუსტი ჩანაწერი, რომელიც აჩვენებს მისი კლიენტების თანხებთან დაკავშირებულ ყველა ტრანსაქციას და განახილავს კლიენტის ფონდებს ადვოკატის მიერ შენახული სხვა ფონდებისაგან. აღნიშნული ჩანაწერები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა კლიენტისათვის მოთხოვნისამებრ.

3.8.17. წვერი სახელმწიფოების კომპეტენტურ ორგანოებს უნდა ჰქონდეთ ძალაუფლება და უფლებამოსილება კონფიდენციალურობის საფუძველზე შეამოწმონ და გამოიძიონ ადვოკატის კლიენტების ფონდების ფინანსური ჩანაწერები რათა დარწმუნდნენ, რომ მათ მიერ დადგენილი წესები დაცულია და დაუწესონ სანქციები იმ ადვოკატებს, რომლებიც აღნიშნულ წესებს არ დაიცავენ.

3.8.2. 3.8.1. მუხლში დადგენილი წესების მიუკერძოებლად და ქვემოთ ჩამოთვლილთან შესაბამისად, ადვოკატი, რომელიც ინახავს კლიენტის ფონდებს რომელიმე წვერ სახელმწიფოში იურიდიული პრაქტიკის წარმოებისას, ვადადებულია დაიცვას კლიენტის ფონდების შენახვასა და ანგარიშგებასთან დაკავშირებული წესები, რომლებიც გამოიყენება მასპინძელი წვერი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიერ.

3.8.3. ადვოკატი, რომელიც მასპინძელ სახელმწიფოში იურიდიულ პრაქტიკას ან მომსახურებას ეწევა, მშობლიური წვერის სახელმწიფოს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების ნებართვით უფლებამოსილია დაიცვას მასპინძელი წვერი სახელმწიფოს წესები და არ დაიცვას მშობლიური წვერი სახელმწიფოს მოთხოვნები. ასეთ შემთხვევაში, ადვოკატმა უნდა იხმაროს ყველა ღონე გონიერების ფარგლებში, რათა შეატყობინოს მის კლიენტებს, რომ იგი ემორჩილება მასპინძელი წვერის სახელმწიფოს მოქმედ მოთხოვნებს.

### 3.9. პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა

- 3.9.1. ადვოკატები ყველა შემთხვევაში უნდა იყვნენ დაზღვეულნი ფროფესიული დაუდევრობიდან გამომდინარე საჩივრებისაგან იმ დონემდე, რომელიც გონივრულია იმ რისკის ბუნებისა და ზომიდან გამომდინარე, რომელიც თითოეულ ადვოკატს შეიძლება შეექმნას მისი პრაქტიკაში.
- 3.9.2. როდესაც ადვოკატი ეწევა მომსახურებას ან იურიდიულ პრაქტიკას მასპინძელ წევრ სახელმწიფოში, მოქმედებს შემდეგი წესები:
- 3.9.2.1. ადვოკატმა უნდა დაიცვას მის მოვალეობებთან დაკავშირებული ნებისმიერი წესი, რომელიც მოქმედებს მშობლიურ წევრ სახელმწიფოში, რათა როგორც ადვოკატმა დააზღვიოს მისი პროფესიული პასუხისმგებლობა.
- 3.9.2.2. ადვოკატმა, რომელიც ვალდებულია ამგვარად დაეზღვიოს მის მშობლიურ წევრ სახელმწიფოში და რომელიც ეწევა მომსახურებას ან იურიდიულ პრაქტიკას რომელიმე მასპინძელ წევრ სახელმწიფოში, ყველა დონე უნდა იხმაროს, რათა მიიღოს დაზღვევის ანაზღაურება იმ საფუძველზე, რომლებიც მისი მშობლიური წევრი სახელმწიფოს მიერ არის მოთხოვნილი, მის მიერ გაწეულ მომსახურებაზე ან პრაქტიკაზე, რომელსაც იგი ახორციელებს მასპინძელ წევრ სახელმწიფოში.
- 3.9.2.3. ადვოკატი, რომელიც ვერ მიიღებს 3.9.2.2 მუხლში აღნიშნულ დაზღვევის ანაზღაურებას ან რომელიც არ არის ვალდებული ამგვარად დაეზღვიოს მშობლიურ წევრ სახელმწიფოში და ეწევა მომსახურებას ან იურიდიულ პრაქტიკას მასპინძელ წევრ სახელმწიფოში, ვალდებულია შეძლებისდაგვარად მიიღოს დაზღვევის ანაზღაურება მისი პროფესიული პასუხისმგებლობისათვის როგორც ადვოკატმა კლიენტების სახელით საქმიანობის დროს ამ მასპინძელ წევრ სახელმწიფოში, მინიმუმ იმ საფუძველზე, რომელიც ტოლია მასპინძელ წევრ სახელმწიფოში ადვოკატებისათვის მოთხოვნილისა.
- 3.9.2.4. იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი ვერ შეძლებს მიიღოს დაზღვევის ანაზღაურება ზემოთ აღნიშნული წესებით მოთხოვნილის შესაბამისად, იგი ვალდებულია აცნობოს კლიენტებს, რომლებზეც აღნიშნულმა შესაძლოა გავლენა იქონიოს.
- 3.9.2.5. ადვოკატი, რომელიც მომსახურებას ან იურიდიულ პრაქტიკას ეწევა მასპინძელ წევრ სახელმწიფოში უფლებამოსილია მშობლიური და მასპინძელი წევრი სახელმწიფოების შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებთან შეთანხმებით დაიცვას მასპინძელ წევრ სახელმწიფოში მოქმედი დაზღვევასთან დაკავშირებული მოთხოვნები და გამორიცხოს მშობლიური წევრი სახელმწიფოს

დაზღვევასთან დაკავშირებული მოთხოვნებისაგან. ასეთ შემთხვევაში, ადვოკატმა უნდა იხმაროს ყველა ღონე გონივრულობის ფარგლებში, რათა მის კლიენტებს შეატყობინოს, რომ იგი დაზღვეულია მასპინძელ წევრ სახელმწიფოში მოქმედი მოთხოვნების შესაბამისად.

---

#### **4. სასამართლოებთან ურთიერთობა**

---

##### **4.1. სასამართლოში ქცევის მოქმედი წესები**

ადვოკატი, რომელიც იმყოფება ან მონაწილეობს საქმეში სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე რომელიმე წევრ სახელმწიფოში ვალდებულია დაიცვას ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედი ქცევის წესები.

##### **4.2. სამართლიანი ქცევა პროცესებზე**

ადვოკატმა პროცესის სამართლიან მსვლელობას ყოველთვის ღირსეული პატივი უნდა სცეს. მაგალითად, მან არ უნდა დაამყაროს კონტაქტი მოსამართლესთან, სანამ არ შეატყობინებს მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატს აღნიშნულის შესახებ, ან არ უნდა წარუდგინოს მოსამართლეს ნივთიერი მტკიცებულებები, ჩანაწერები ან დოკუმენტები მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატისადმი დროული შეტყობინების გარეშე გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული ქმედებანი დაშვებულია პროცესის შესაბამისი წესებით. კანონით დაშვებული ფარგლებში, ადვოკატმა არ უნდა გაუმხილოს ან წარუდგინოს სასამართლოს მოწინააღმდეგე მხარის ან მისი ადვოკატის მიერ შეთავაზებული საქმეზე მორიგებს წინადადება მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის თანხმობის გარეშე.

##### **4.3. ქცევა სასამართლოში**

სასამართლოს ღირსეული პატივისცემითა და მოწიწებით, ადვოკატმა უნდა დაიცვას მისი კლიენტის ინტერესები პატიოსნად და უშიშრად მისი პირადი ინტერესების ან მისთვის ან ნებისიერი სხვა პირისათვის შედეგების მიუხედავად.



#### 4.4. არასწორი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია

ადვოკატმა განზრახ არასოდეს არ უნდა მიაწოდოს სასამართლოს არასწორი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია.

#### 4.5. არბიტრაჟი და ა.შ.

ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობებზე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირებთან, რომლებიც ახორციელებენ სასამართლო ან სასამართლოს მსგავსი ფუნქციას, იშვიათადაც კი.

---

### 5. ადვოკატთა შორის ურთიერთობა

---

#### 5.1. პროფესიის კორპორატიული არსი

5.1.1. პროფესიის კორპორატიული არსი მოითხოვს ადვოკატთა შორის ურთიერთობაში ნდობას და თანამშრომლობას მათი კლიენტების სასარგებლოდ და არა საჭირო სასამართლო გარჩევისა და სხვა საქციელის თავიდან აცილების მიზნით, რომელიც პროფესიის რეპუტაციისათვის საზიანოა. თუმცა, კლიენტის ინტერესების წინ პროფესიის ინტერესების დაყენება არასოდეს არის გამართლებული.

5.1.2. ადვოკატმა წვერი სახელმწიფოების ყველა ადვოკატი პროფესიულ კოლეგებად უნდა აღიაროს და მათ მიმართ სამართლიანად და პატივისცემით იმოქმედოს.

#### 5.2. სხვადასხვა წვერ სახელმწიფოთა ადვოკატებს შორის თანამშრომლობა

- 5.2.1. ადვოკატი, რომელსაც სხვა წევრი სახელმწიფოდან კოლეგა მიმართავს, ვალდებული არ მიიღოს მითითებები ისეთ საქმეზე, რომლის საწარმოებლად იგი არაკომპეტენტურია. ასეთ შემთხვევაში, იგი მზად უნდა იყოს, დაეხმაროს კოლეგას მიიღოს საჭირო ინფორმაცია, რათა მისცეს მითითებები ისეთ ადვოკატს, რომელსაც შეუძლია გაუწიოს მომსახურება, რომელსაც იგი ითხოვს.
- 5.2.2. როდესაც ერთ-ერთი წევრი სახელმწიფოს ადვოკატი თანამშრომლობს სხვა წევრი სახელმწიფოს ადვოკატთან, ორივეს მოვალეობაა გაითვალისწინონ ის განსხვავებები, რომლებიც შეიძლება არსებობდეს მათი წევრი სახელმწიფოების სამართლებრივ სისტემებს, პროფესიულ ორგანიზაციებს, კომპეტენციებსა და ადვოკატის მოვალეობებს შორის.

**5.3. ადვოკატებს შორის კორესპონდენცია**

- 5.3.1. თუ ადვოკატს, რომელიც კორესპონდენციას აწარმოებს ადვოკატთან სხვა წევრ სახელმწიფოში, სურს კონფიდენციალურობა ან მიუკერძოებლობა, მან ნათლად უნდა გამოხატოს ეს განზრახვა დოკუმენტის გაგზავნისას.
- 5.3.2. თუ ადვოკატს არ შეუძლია უზრუნველყოს კონფიდენციალურობის ან მიუკერძოებლობის სტატუსი, მან კორესპონდენცია უკან უნდა დაუბრუნოს გამომგზავნს და არ გაუმხილოს შინაარსი სხვა პირებს.

**5.4. რეკომენდაციის გადასახადი**

- 5.4.1. ადვოკატმა სხვა ადვოკატისაგან ან ნებისმიერი სხვა პირისაგან არ უნდა მოითხოვოს ან მიიღოს გადასახადი, საკომისიო ან ნებისმიერი სხვა სახის კომპენსაცია კლიენტისათვის სხვა ადვოკატის რეკომენდირების ან რჩევისათვის.
- 5.4.2. ადვოკატს არა აქვს უფლება გადაუხადოს გადასახადი, საკომისიო ან ნებისმიერი სხვა სახის კომპენსაცია პირს, კლიენტისათვის პირადად მისი რეკომენდირებისათვის.

**5.5. მოწინააღმდეგე მხარეებთან ურთიერთობა**

ადვოკატმა არ უნდა აწარმოოს ურთიერთობა უშუალოდ პირთან გარკვეულ საქმეზე, რომელიც მან იცის, რომ წარმოდგენილია ან კონსულტირებულია აღნიშნულ საქმეზე სხვა ადვოკატის მიერ ამ სხვა ადვოკატის თანხმობის გარეშე (ადვოკატმა ინფორმაცია უნდა მიაწოდოს მეორე ადვოკატს ამ ურთიერთობის შესახებ).

**5.6. (ამოღებულია CCBE-ს პლენარული სხდომის გადაწყვეტილებით 2002 წლის 6 დეკემბერს ღუბლინში)**

**5.7. პასუხისმგებლობა გადასახადებზე**

სხვადასხვა წევრი სახელმწიფოების ადვოკატურების წევრთა შორის პროფესიულ ურთიერთობებში, როდესაც ადვოკატი თავის თავს არ ივალდებულებს რეკომენდაცია გაუწიოს სხვა ადვოკატს ან წარუდგინოს იგი კლიენტს, არამედ პირადად დააყვავებს კოლეგას გარკვეულ საქმეს ან მისგან რჩევას მოითხოვს, იგი პირადადაა ვალდებული მაშინაც კი თუ კლიენტი ბანკროტია, გადაიხადოს გადასახადები, ხარჯები და დანახარჯები, რომლებიც ეკუთვნის უცხოელ კოლეგას. თუმცა, ამ შემთხვევაში ადვოკატები უფლებამოსილი არიან, ერთმანეთში ურთიერთობის დაწყებისას შეთანხმდნენ აღნიშნულ საკითხზე. ამასთან, მითითების გამცემ ადვოკატს ნებისმიერ დროს შეუძლია შეზღუდოს მისი პირდი პასუხისმგებლობა გადასახადების, ხარჯებისა და დანახარჯების იმ ოდენობამდე, რომელიც წარმოიშვა უცხოელი ადვოკატის მიმართ შეტყობინებამდე სამომავლოდ მისი პასუხისმგებლობის უარყოფის შესახებ.

**5.8. ახალგაზრდა ადვოკატების ტრეინინგი**

სხვადასხვა წევრი სახელმწიფოების ადვოკატთა შორის ნდობისა და თანამშრომლობის გასაუმჯობესებლად და კლიენტების ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია სხვადასხვა წევრ სახელმწიფოებში კანონებისა და პროცედურების უკეთესად ცოდნის ხელშეწყობა. ამიტომ, პროფესიისათვის აუცილებლობიდან გამომდინარე ახალგაზრდა ადვოკატებისათვის ხარისხიანი ტრეინინგის უზრუნველყოფისათვის ადვოკატებმა უნდა გაითვალისწინონ სხვა წევრი სახელმწიფოების ახალგაზრდა ადვოკატებისათვის ტრეინინგების ჩატარების აუცილებლობა.

**59. სხვადასხვა წევრ სახელმწიფოთა ადვოკატებს შორის დაგები**

- 59.1. თუ ადვოკატი მიიჩნევს, რომ კოლეგა სხვა წევრი სახელმწიფოდან პროფესიული ქცევის წესების დარღვევით მოქმედებს, მან კოლეგას აღნიშნული საკითხი უნდა შეატყობინოს.
- 59.2. თუ სხვადასხვა წევრი სახელმწიფოს ადვოკატებს შორის პროფესიული ხასიათის პირადი დავა წარმოიშვება, ისინი უნდა ეცადონ აღნიშნული დავის თავდაპირველად მეგობრული გზით გადაწყვეტას.
- 59.3. ადვოკატმა არ უნდა წაომოიწყოს რაიმე სახის საქმე კოლეგის წინააღმდეგ სხვა წევრ სახელმწიფოში 59.1. ან 59.2. მუხლებში აღნიშნულ საკითხებზე, თუ წინსწარ არ შეატყობინებს ადვოკატურას ან იურიდიულ საზოგადოებას, რომელსაც ორივე ადვოკატი მიეუთხვნება, რათა შესაბამის ადვოკატურას თუ იურიდიულ საზოგადოებას საშუალება ჰქონდეს ხელი შეუწყოს მორიგებას.